საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. თბილისი "02" 08 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 972/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 26 ივლისის N დმ–633787/03 განცხადებით კომპანიის „Eckes-Granini Group GmbH" (მის: Ludwig-Eckes-Platz 1, 55268 Nieder-Olm, DE) წარმომადგენელმა ირაკლი ფიფიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „Granini" (რეგ. N 633787) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „Granini" (რეგ. N 633787) საქართველოში რეგისტრირებულია 08.03.1995 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 08.03.2015 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე, 30-ე და 32-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „Granini" (რეგ. N 633787) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 80, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 2.08.2012);

ბეჭდი დედანთან სწორია
"02" 08 2012 წ.
ხელმოწერა

0114, თბილისი, რუსთაველის გამზ. №30; ტელ.: (+995 32) 225-25-33; ტელ./ფაქსი: (+995 32) 298-84-19; E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტს; კომპანიის „Eckes-Granini Group GmbH" წარმომადგენელს ირაკლი ფიფიას (მისამართი: მელიქიშვილის გამზ.10, მე-4 სართ).